

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთურ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით - 14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონალურები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციისგან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურების
 რედაქცორი
 ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
 საინფორმაციო სამსახურის
 ხელმძღვანელი:
 თემურ
 მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
 გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოქმბათი აციონზე
«ალიონით»

მიაყვანა თუ არა ფიზიკური შეურაცხყოფა უბნის ინსპექტორმა თანასოფელს?

ფესიონალი ვერავინ იტყვის სამღერავს მასზე. შესაძლებელია, მოხდა კიდევ ინციდენტის მსგავსი, მაგრამ გვერწმუნეთ, ზურაბი უსამართლოდ არავის მოექცეოდა და არ ვლინს ამ საქმეზე ხმაურის ატეხვა“. – გვითხრეს სოფლის ცენტრში.

ე.წ. „გარადიოის ბინებიდან“ სოფლის ცენტრამდე ათამდე ადამიანს ვკითხეთ, რა მოხდა 4 ივნისს მერიამში. არც ერთმა არ დაგვიდასტურა, რომ უბნის ინსპექტორსა და თანასოფელს შორის მოხდა ინციდენტი. მერიელებს, როგორც ჩანს, უყვართ და ეხერხებათ კიდევ საქმის მიზმთება. ალბათ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სოფლის ხელმძღვანელებმა – სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა და მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელში სამი დღის შემდეგ და ისიც ჩვენგან გაიგეს სოფლის ცენტრში მომხდარი ინციდენტის შესახებ.

რაც შეეხება უბნის ინსპექტორ ზურაბ ბაქანიძეს, პარასკევს 8 ივნისს 11 საათსა და 30 წუთზე, 13 საათსა და 41 წუთზე და 16 საათსა და 42 წუთზე მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა. 18 საათამდე ველოდეთ, იქნებ საპასუხოდ შეგვხმანებოდა, მაგრამ ამაოდ. 20 საათზე კი გაზეთზე მუშაობა დავამთავრეთ და ელექტრონული ფოსტით თბილისში გავგზავნეთ დასაბუჟდად. გამორიცხვულია, რომ შეცდომით სხვა ნომერზე დაგვეკავშირებინათ, რადგან სამხარეთ პოლიციისა და სოფელ მერიამში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ნუგზარ ზომერიკის მიერ მოცემული ნომრები ერთნაირია და იგი ზურაბ ბაქანიძეს ეკუთვნის.

კიდევ ერთი პროცესი მერიის წინააღმდეგ



იმედია, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაინტერესდება და დაგვეზარება იმის დადგენაში, რატომ არ პასუხობს ზარებს სოფელ მერიის უბნის ინსპექტორი.

ადვოკატი მარიამ ლევითე ჩაერთო. მას მოსამართლე გიორგი ზვიადაძემ საქმის მასალების სრულყოფილად გაცნობისთვის დრო მისცა. მერიის იურისტებმა ლამა თავაძემ და მიხეილ შილაკაძემ მოსამართლეს საქმეში მესამე პირად მარინა ჯაფარიძის ჩართვა თხოვეს.. მოსამართლემ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

შეგახსენებთ, საქმე ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქითხთა სამსახურის უფროსად ნატალია ზომერიკის ჯერ დანიშვნას, ხოლო ერთი დღის შემდეგ განთავისუფლებას მოგვიანებით ამ თანამდებობაზე კონკურსის გზით მარინა ჯაფარიძე დანიშნა.

გურიაში „მომაგლის თაობას“ ახალგაზრდები საიმედოდ ასორცხევენ



6 ივნისს „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ ორგანიზებით, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა შუალედური ღონისძიება სამოქალაქო განათლების პროგრამისა „მომაგლის თაობა“.

ღონისძიებაზე შეჯამდა პროგრამის ფარგლებში, 2018 სასწავლო წელს განხორციელებული საქმიანობები. მოსწავლეებმა წარმოადგინეს მათ მიერ განხორციელებული გამორჩეული აქტივობები.

ასევე მოეწყო პროგრამის პარტნიორ სკოლებში ჩამოყალიბებული სამოქალაქო კლუბების მიერ განხორციელებული საქმიანობების ამსახველი ფოტომასალის დათვალიერება-შეფასება.

ლონისძიებას დაესწრო პროგრამის პარტნიორი სკოლების (კვირიკეთი, ცხემლისხიდი, ვაკეჯვარი, ბაილეთი, ასკანა, წყალწმინდა, ბოხვაური) პედაგოგები, მოსწავლეები, ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის, PH International-ის წარმომადგენლები.

„მომაგლის თაობის“ მიზანია გაუმჯობესდეს სკოლებში სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამა და მოხდეს მოსწავლეების მიერ სამოქალაქო გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; ახალგაზრდებში სამოქალაქო განათლების მიზნით, ხელი შეეწყოს სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდას გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობისათვის.

სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომაგლის თაობას“ ასორციელებს PH International ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროგრამა საქართველოს 11 რეგიონში მიმდინარეობს. გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია გურიის რეგიონში.

უმეტივალურო კაღების პრობლემა ოზურგეთისტივის ისევ აქტუალურია

ლაჭურის შემდეგ გადაგვეყვას თავმესაფარში, და ვეტერინარულ ზედამხედველობაზე ვაყენებთ. შემდეგ ტარდება ვეტერინარული ღონისძიებები, მამრობითი სქესის შემთხვევაში კასტრაცია, მღერობითის შემთხვევაში სტერილიზაცია. ვაბნეთ ნომრებს. ვცრიტ ცოფზე (აღრიცხვა გვაქვს და ყოველწლიურად ხდება მათი ვაქცინაცია). ამის შემდეგ ვაბრუნებთ ბუნებრივ ვოლიერში. უკან არ ვაბრუნებთ მხოლოდ განსაკუთრებით ავი ან ავადმყოფ, მომაკვდავ ცხოველს. ძალი აყვანის ადგილზე უნდა ვაუშვათ ყოველ მიზეზ გარეშე, რომ არ დაიბნეს და ნახოს მიკვლელები ადგილი.

– რამდენ ხანს აჩერებთ თქვენთან, როგორი პირობებია თქვენსაფარში?

– ჩვენთან რჩება დაახლოებით ერთი კვირა, ათი დღე. ვაჩნია რა ღონისძიებები გასატარებელი. ჩემი თავის ქებას ვერ დავიწყებ, სხვები როგორც ამბობენ ევროკავშირის სტანდარტებთან ძალიან შორს ვართ, მაგრამ ნელ-ნელა უყახლოვდებით. განყოფილებაში 4 კაცი ემუშაობთ. მოვლის პირობები დამაკმაყოფილებელია. ვაჭმენ, „პედიგოს“, პურსაც ვახმართ.

–ლაჭურა ისევ ძველებური მეთო-

დებით ხდება?
 – არავითარი ძველებური მეთოდები. ჰუმანურად, ვანარკოზებთ, რომ გაითიშება ამის შემდეგ აგვყავს.

–რამდენ ძალს იტევს თქვენი თავმესაფარი?
 – 100-ის ადგილი გვაქვს. მაგრამ ცხოველებს ჩვენთან იდუანს არ ვაჩერებთ, თან ახლა მშენებლობაც მიმდინარეობს, რომ გავფართოვდეთ.

–ადრე მებატონის სურვილის შემთხვევაში სახლებიდანაც მიგყავდათ ცხოველები, ახლა?
 – სახლებიდან ძაღლების წაყვანა კატეგორიულად აკრძალულია. ავკიკრძალა ცხოველთა დაცვის ფედერაციამ. მარტო გამოუვალ მდგომარეობაში მოგვყავს, მაგალითად თუ მომაკვდავია და ვერ პატრონობენ, თორემ სალსალამათი და ჯანმრთელი ძაღლის წამოყვანის უფლება არ გვაქვს. მკაცრად ვართ გაფრთხილებული.

P.S. გიორგი მაღლაფერიძეს „ტერიტორიის დაცვის მანქანა“ ძალიან ეხება. „უკვე ბევრი წელია ცდილობს. ოზურგეთის გარდა მას, როგორც ინდ. მეწარმეს, ხელშეკრულებები დაახლოებით 12 მუნიციპალიტეტთან აქვს გაფორმებული.“

მერიამ ახალი დასუფთავების მანქანები შეიძინა



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით 2 დასუფთავების მანქანა შეიძინა. „ფორდ-ტრანზიტის“ მარკის დასუფთავებისთვის განკუთვნილი მანქანები მუნიციპალიტეტის მასშტაბით განთავსებული ნაგავმუქრები კონტეინერების დასაცვლად გამოიყენება.

– „ახალი ტექნიკის გამოყენებით შევძლებთ კიდევ უფრო მეტად და-

ლაგებული და მოწესრიგებული ქალაქი ვკვირდეს. შევიძინეთ 2 ერთეული ტექნიკა, რომელიც ა(ა)ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების სერვისცენტრს“ გადაეცემა. ამით კიდევ უფრო გაუმჯობესდა ჩვენი ავტოპარკი,“ – განაცხადა ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ოზურგეთში ღონისძიება ორჯარი და მუშაობის უფლება შეუქნერა.

სურსათის ეროვნული სააგენტონ რეგიონული მართვის დეპარტამენტის გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი ნინო შეწირული ჩვენთან საუბარში ფაქტს ადასტურებს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს



წარმომადგენლები ოზურგეთში კიდევ რამდენიმე ობიექტზე იყვნენ და რეკომენდაციები გაცემს.

„მე მამას ვიძახი, რომ ყველაფერი მიღის კორუფციისაკენ“



ალიონი. კრიტიკა მოჰყვა გასულ ოთხშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგის მე-5 საკითხს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის“ დაფუძნების საკითხს. როგორც მერის თანამშემწე ალექსანდრე ბერიძემ განმარტა, აიპში 4-5 კაცი იმუშავებს.

აქაც თავისი პოზიცია დააფიქსირა დეპუტატმა ლავრენტი ბიგვაჯამ: — უმკაცრეს კონტროლს დავაწესებთ აღნიშნული აიპის საქმიანობაზე. თუ დავინახებთ, გაწეული თანხების არაადეკვატურობა, შეწყდება ბიუჯეტიად ამ აიპის დაფინანსება — განაცხადა ლავრენტი ბიგვაჯამ.

ახალი აიპის შექმნასთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა დეპუტატმა შალვა თავდიშვილმა: — ასეთი აიპი არსებობდა

მანამდეც და გააუქმეს. მერე ალავიძის ბრძანებას დაემორჩილნენ და შექმნეს ახალი კანონი.. ის წავიდა და ეს კი დარჩა... რისთვის ვინდათ, ოზურგეთის ბიუჯეტიდან ვიღაც რომ ნახევარ მილიონს ხსნის და მიაქვს, იმიტომ? ხომ არსებობდა ასეთი სამსახური, რომელიც ორ საათში აკეთებდა პროექტს ახლა რა გვირთ? უნდა გამოცხადდეს ყველაფერზე ტენდერი და ყველაფერი გაიწელოს დროში? ექსპერტიზას ხელს აწერს ვინმე? თან ამ ვიღაც მოწვეულ ექსპერტს რამდენს უხდით წელიწადში. ასე ყალიბდება კორუფციული სქემა. ვიღაც ექსპერტი, რომელიც დასკვნას არ წერს, რაში უხდით ფულს? თანხის 4,85% ანუ ნახევარი მილიონი ღარი მიაქვს. თანაც დასკვნას არ წერს. დასკვნის დაწერაში სამხარაულის ბიუროს ცალკე უნდა გადაუხადოთ ფული. არის თუ არა ასე? — შეკითხვა დასვა შალვა თავდიშვილმა.

— ექსპერტი დასკვნას არ წერს, ზედამხედველობას უწევს ობიექტს — განმარტა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ოსიკო თოთბაძემ.**

— აბა რად გვინდა, რაში ვუხდით ნახევარ მილიონს ყოველ წელს, როცა ოზურგეთის მოსახლეობის უმეტესობა მშენებელია? — თავის პოზიციას არ თმობდა შალვა თავდიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ლურჯუმელიძემ** თავდიშვილს უთხრა, რომ ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“ გაუქმდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში გახორციელებული ცვლილების შესაბამისად. მუნიციპალიტეტს კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების უფლება აქვს მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში...“

შემდეგ კამათი ოზურგეთში საპატრულო ჯარიმების თემაზე გააგრძელა. თავდიშვილმა იკითხა, თუ რამდენი პროცენტი შემოდის ოზურგეთის ბიუჯეტში ამ ჯარიმებიდან და სრულიად არაკანონიერი უწოდა, რადგან ოზურგეთში, გმირთა მოედნის სიახლოვეს, მარკეტ „მაკა-მაია“ წინ, 40 მეტრი სიგრძის გადასასვლელი „ზებრა“ ისეთ მოსახვევში არსებობს, რომ მძღოლების შეგნებულად დაჯარიმებისთვის მოფიქრებული უნდა იყოს.

მან ისიც აღნიშნა, რომ ამის თაობაზე მათ სასამართლო პროცესი მიიგეს, თუმცა საპატრულო პოლიცია ამბობს, რომ ნახაზი მათ არ შეუქმნიათ და ეს სქემა ქალაქის მერიამ განსაზღვრა. თავდიშვილმა ასევე განაცხადა, რომ 1600 ჯარიმა დაიწერა აქ ამ დამბარკოლებელ გარემოში. ბევრ-

ვერ გააუქმეს კიდევ, გასაჩივრების წესით, თუმცა, ყველამ არ იცის, როგორ მოიქცეს ასეთ დროს. მან ისიც იკითხა, თუ რა თანხა შედის ამ ჯარიმებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში.

ვინამაძვირებდა უპასუხა, რომ შემოსული ჯარიმების ასივე პროცენტი ბიუჯეტში რჩება.

„რაში უნდა გადაიხადოს მოსახლეობა ფული?“

ლეიბორისტი დეპუტატის **დავით მამალაძის** აღშფოთება გამოიწვია საკრებულოს სხდომაზე სოფლებში ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლების შემოღებამ:

— „რა უნდა დაასუფთავოთ სოფლებში, რაში უნდა გადაიხადოთ მოსახლეობამ ფული? ეს არის სატყუარა. ამას პირდებოდით წინასწარჩევნოდ? მეგობრებო, არ დაუჭიროთ ამ კანონის მიღებას მხარი, თორემ ეს ნაკვის ურნები დასჭირდება მთავრობას მომავალი არჩევნებისთვის“ — განაცხადა მამალაძემ.

„ჩემი ფილიც იყოს მამაჰი პაია, რამდენია მს ფილიც?“

საკრებულოს სხდომაზე მეცხრე საკითხად „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში (შეკვეთილი) ბეტონის გზების რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე“ — განიხილეს.

საკითხი მერის მოადგილე **ოსიკო თოთბაძემ** წარმოადგინა, რომელმაც განაცხადა, რომ 830 მ სიგრძის გზის საფარი და გარე განათებაც არის გასაკეთებელი. სულ პროექტის



ღირებულება 611 ათას 278 ლარია და ეს ძირითადად შეკვეთილში შიდა გზების მოწყობის სამუშაოებისთვის არის განკუთვნილი. ამ საკითხის განხილვას ნაციონალი დეპუტატები დაცინვით შეხედნენ: — ხო, ბიძინას ნამეტანი უჭირს და დეხმარეთ, აბა, რა. ჩვენი წილიც იყოს მაგამი, კაია. რამდენია ეს წილი? კაია, კაი, დეხმარეთ ბიძინას, უჭირს, მივეცეთ, — ამბობდა შალვა თავდიშვილი.

საზავს ულო ბაღები არ იმეხება

ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა ჩხიკვიანი** მერის თანამშემწე **ალეკო ბერიძეს** დაუსვა კითხვა, იქნებოდა თუ არა ზაფხულში საბავშვო ბაღები.

ალეკო ბერიძემ განმარტა, რომ თუ ისინი შეაჩვენებენ რამდენიმე ბაღს — ამ შემთხვევაში სამართლიანობა ირღვეოდა. ყველა ბაღის ფუნქციონირებისთვის კი კანონი და ფინანსური რესურსი არ აძლევთ საშუალებას.

გამოიყენე ელექტრონული პეტაცია - ჩაერთე თვითმმართველობის განხორციელების პროცესში!



თუ ხართ ოზურგეთში რეგისტრირებული ამომრჩეველი, გაქვთ იდეა, ინიციატივა და გსურთ მიმართოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, გამოიყენეთ ელექტრონული პეტაცია. ელექტრონული პეტაცია ოზურგეთის საკრებულომ სწორედ მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით დანერგა.

ელექტრონული პეტაციით სარგებლობა მარტივია. ისარგებლეთ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდით <http://oz.gov.ge>, მარჯვენა კუთხეში იპოვით ელექტრონული პეტაციის პანელს, შემდეგ მიჰყევით ინსტრუქციას.

თქვენს მიერ ელექტრონული პეტაციის სახით წარმოდგენილ ინიციატივებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები განიხილავენ.

შეგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ელექტრონული პეტაციის გამოყენები სგააქტიურების მიზნით, ელექტრონული პეტაციის წარდგენის შემთხვევაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის 1% -0,5% - მღეშეამცირა.

იაქტიურად, პეტაცია ეს არის ხალხის ხმა თვითმმართველობაში!

მაჟორიტარი ნატანების ადმინისტრაციული ერთეული - თამაზ ტუღუში


ნატანების თემმა ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში წლითა თამაზი ტუღუმის 1004 (44.64%) — ხმით გამოუცხადა.

„ ჩემი სოფლის სიყვარულმა, დაგროვილმა გამოცდილებამ, რომელიც 1991 წლიდან — 2006 წლებში ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში მუშაობით დამგროვდა, მომცა სტიმული ადგილობრივ თვითმმართველობს არჩევნებში მიმელო მონაწილეობა. ნატანების უდიდესი ნდობით მე დღეს საკრებულოში ჩემი სოფლის ხმას წარმოვადგენ.“

მსურს მოკლედ ვისაუბრო იმ საკითხებზე, რომლებიც სოფელში გასულ წლებში გადაიტარა და აქვე ყურადღება გავამახვილო პრობლემებზე, რომლებიც სოფელს აწუხებს. ძირითადად აქცენტები ინფრასტრუქტურის მიმართულებაზე კეთდება, რადგან ჩვენს პრიორიტეტს სწორედ ინფრასტრუქტურული სამუშაოები წარმოადგენს.

გასულ წლებში განხორციელდა არაერთი პროექტი, მათ შორისაა: წყალმომარაგების სამუშაოები ე.წ. „შავი“-ს, „ახალშენი“-სა და რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე. მოეწყო სოფლის სხვადასხვა უბნის კრიტიკულ მონაკვეთებზე რკინა-ბეტონის გზები, მიმდინარეობს მონრევიითი სამუშაოები, თუმცა ნატანებში 380 კმ-ი შიდა სასოფლო გზა და სამუშაოები უფრო მასშტაბურად უნდა ჩატარდეს, აქვე საჭიროა მოეწყოს სანიაღვრე არხები.

გასულ წელს დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს ნატანები-შრომის დამაკავშირებელი ცენტრალური გზის, მეწყერისგან დაზიანებული საგზაო მონაკვეთების რეაბილიტაცია. ამ გაზაზხვევ მოეწყოს სასაფლაოს დამცავი ჯებირი.



ქვემო ნატანების საბავშვო ბაღში განხორციელდა სველი წერტილების მოწყობა, თუმცა ნატანებში არსებულ საბავშვო ბაღებში ჩასატარებელია კეთილ მოწყობითი სამუშაოები. დასრულდა სოფლის სრული გაზიფიცირება. აშენდა საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც ნატანების მაცხოვრებლებისთვის არის კარგი საშუალება ადგილზე მიიღონ ყველა საჭირო სერვისი.

არსებულ გარე განათების ბოქებზე მოხდა ნათურების შეცვლა. აღსანიშნავია, რომ გარე განათება სოფლის ცენტრსა და რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიას მოიცავს. აუცილებელია გარე განათების დამონტაჟება სოფლის სხვადასხვა უბნებში, პირველ ეტაპზე ცენტრალურ გზაზე მაინც. დამატა საზაგვე ურნებიც.

უპირველესი პრობლემა სოფლისათვის არის სასიძელი წყლის სისტემის არ არსებობა სხვადასხვა უბნებში. დაახლოებით სასიძელი წყლით უზრუნველყოფილია სოფლის მოსახლეობის

მხოლოდ 20-25%-ი, საჭიროა ახალი სასიძელი წყლის სისტემის მშენებლობა. სოფელში სულ 13 სასაფლაოა, მიმჩნია რომ ჩვენი წინაპრების სავანის მოვლა-პატრონობა უპირველესი ვალდებულებაა. სასაფლაოები საჭიროებს შეღობვას, განათების მოწყობას.


აუცილებელია სოფლის ცენტრის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. მოგეხსენებათ, რკინიგზის სადგურიდან სარეგულაციო ჩვენს მხარეში ჩამოსული ტურისტები, პირველ ეტაპზე საჭიროა მიმდებარე ტერიტორიის მოსაფალტება მაინც.

ახალგაზრდების სურვილა სოფლის სხვადასხვა უბნებში მოეწყოს მინი სტადიონები, რათა მოახერხონ სპორტული აქტივობების ჩატარება — ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. სოფელს აქვს კულტურის სახლი, სადაც ბევრი ახალგაზრდის ნიჭიერების რეალიზება ხდება. საჭიროა, როგორც კულტურის სახლის, ასევე სამუსიკო სკოლის კეთილმოწყობა. სოფლის მოსახლეობას დიდი სურვილი აქვს აღნიშნებოდეს სოფლის დღესასწაული, სპორტულ-კულტურული ღონისძიებებით.

მოგეხსენებათ საკრებულოს პირდაპირი კომპეტენციაა ქუჩების სახელდება, მე ჩემს კოლეგებთან, ნატანების მაქსიმალური ჩართულობით უკვე დავიწყე ქუჩის სახელდების პროცესი.

მოკლედ ვისაუბრე იმ საკითხებზე, რომელიც გადაჭრა პრიორიტეტულად მიმაჩნია. თითოეული თქვენი პრობლემა ჩემო ნატანებელბო ჩემთვის არ ახალია, მთავარი ვალდებულება სწორედ თქვენს სამსახურში ყოფნა და გამოცხადებული ნდობის გამართლებაა“.

დავით ჩხარტიშვილი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია!



ალიონი. წარმატებით დაასრულა ასპარეზობა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა სტამბულში, ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე.

სოსო ჯაბიძის ხელმძღვანელობით ჩვენმა ნაკრებმა 5 მედალი მოიპოვა, საიდანაც სამი უმაღლესი სინჯისაა, ევროპის ჩემპიონები ნუგზარ წურჭუბია (55 კგ), რამაზ ზოიძე (72 კგ) და ზვიად პატარაძე (130 კგ) გახდნენ, ბრინჯაოს მედლები დავით ჩხარტიშვილმა (60 კგ) და ლერი აბულაძემ (63 კგ) მოიპოვეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა 121 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

დავით ჩხარტიშვილი სტამბულში 1/8 ფინალში პორტუგალიელ კაბრალს შეხვდა და დაამარცხა: 1/4 ფინალში დამაბულ ბრძოლაში რუსეთის წარმომადგენელ პეტროსიანთან

დამარცხდა, მაგრამ დამამშვიდებელ შეხვედრაში სომეხ სპორტსმენს მელიქიანს მოუგო.

ბრინჯაოს მედლისათვის ბრძოლაში კი მან უკრაინელი პეტრიკი დაამარცხა.

დავით ჩხარტიშვილი ასევე წარმატებით გამოვიდა ქ. კასპისკში მაისის დასაწყისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც 60 კგ. წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა; იანვარში კი თბილისში საქართველოს ჩემპიონი გახდა.

დავით ჩხარტიშვილი ლიხაურის საჭიდაო სკოლის აღზრდილია. ამ სკოლის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის აწ გარდაცვლილ აღექსანდრე ბოლქვაძეს. მისი აღზრდილი ბექა ჩოფლიანი ამჟამად დავით ჩხარტიშვილის მწვრთნელია.

ვულოცავთ დავით ჩხარტიშვილს ამ წარმატებას!

ოზურგეთელი მძლეოსანი სოფო შათირიშვილი ახარბაიჯანის ღია ეროვნული ჩემპიონატის ოქროს მფლობელი გახდა



ალიონი. ახალგაზრდა მძლეოსანთა გუნდების შეხვედრა წელს ბაქოში გაიმართა. შეჯიბრში საქართველოს მძლეოსანთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდიც ასპარეზობდა.

მათ შორის იყო ოზურგეთელი სოფო შათირიშვილი (მწვრთნელები კოტრიკაძე, მინდაძე). პირველობისთვის ბრძოლაში.

მან ბირთვის კვრაში საუკეთესო შედეგი აჩვენა და ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალიც მოიპოვა.

– „სოფოს მიღწევები მისი დაუღალავი შრომის შედეგია. ვულოცავ და სპორტულ ასპარეზზე შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ.“

სოფო შათირიშვილი ახალგაზრდა მძლეოსნების ევროპის ჩემპიონატის საეზურის მფლობელია და ის 7 ივნისს ლიტენშტაინში იბრძოლებს გამარჯვებისთვის“ – განაცხადა მარინე კონტრიძემ.

ოზურგეთელი კარატისტების წარმატება



ალიონი. 1-3 ივნისს, ქ. თბილისში საქართველოს ღია ჩემპიონატი კარატეში OPEN GEORGIA მიმდინარეობდა.

ტურნირში საქართველოს, რუსეთის, აზარბაიჯანის, სომხეთის, ირანის,

თურქეთის 900-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ორთაბრძოლებში წარმატებით ასპარეზეს ახალგაზრდა ოზურგეთელმა კარატისტებმა. მათ თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში და წონით კატეგორიებში ერთი ვერცხლი და სამბრინჯაო მოიპოვეს.

9 წლის თორნიკე პოლიანი(40კგ) ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი და დამსახურებული მეორე ადგილის მფლობელი გახდა.

ბექა კოსტავა(7წ. –23კგ.), ლამა კოსტავა(13წ.–40კგ.) და ნიკო დარჩია(17 წ.–68 კგ) მან ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ.

ოზურგეთელ კარატისტთა გუნდს შოთა ლლონტი ამზადებს.

საქაღრაკო ჩემპიონატი სასკოლო გუნდებს შორის

დამთავრდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქაღრაკო ჩემპიონატი სასკოლო გუნდებს შორის, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე, სადაც მონაწილეობაზე 19 გუნდმა გააკეთა განაცხადი, შესარჩევი ეტაპიდან ექვსი გუნდი გავიდა ფინალურ ეტაპზე. მართალია, ფინალში სოფლებისა და დაბების გუნდები ვერ მოხვდა, მაგრამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქვ. ნატანების, სოფ. ოზურგეთის და ასკანის სკოლებმა.

ჩემპიონატის დასკვნით ეტაპს ოზურგეთის ოლიმპიურმა სახლმა უმასპინძლა, სადაც ყველა პირობა შეუქმნეს ახალგაზრდებს ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

საუკეთესო ექვსეულში შესულმა გუნდებმა წრიული სისტემით, ოთხ დაფაზე დაიწყეს ასპარეზობა. ჩათვლაში აისახებოდა როგორც ბუნდური, ისე პირადი შედეგები.

შეჯიბრება, რომელშიც თითქმის ყველა წამყვანი, პერსპექტიული ტიტულოვანი ახალგაზრდები იყო ჩართული, დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია.

ოზურგეთის მე-2 საჯარო და გაბრიელ ებისკოპოსის სამრევლო სკოლები, რომლებსაც მოჭადრაკეთა საკმაოდ დიდი რესურსი გააჩნიათ, თავიდანვე მიიჩნეოდა ფავორიტებში, რაც ჩემპიონატის შედეგებშიც დადასტურდა. 10 შესაძლებლობიდან



10 ქულით ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქალაქის 2 საჯარო სკოლამ (გუნდის წევრები: თენგიზ თოიძე, თამარ ასათიანი, თორნიკე მახარაძე და ნათია ვასაძე). ვიცე-ჩემპიონობა 7 ქულით ერგო გაბრიელ ებისკოპოსის სამრევლო სკოლას (გიორგი მეგრელიშვილი, ვასიკო ურუშაძე, მძები - გიორგი და დანი ქუტიბეები). მესამე ადგილზე ოზურგეთის 4 საჯარო სკოლა გავიდა (ანა მეგრელიაძე, ლუკა ლლონტი, გუგა კილაძე, კახა ცხომელიძე და საბა ფერაძე).

აღნიშნული მოჭადრაკეები დაჯილდოვდა შესაბამისი სინჯის მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. გამოვლინდა ასევე

დაფების მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე მოჭადრაკეები, რომლებმაც ოქროს მედლები და სპეციალური დიპლომები დაიმსახურეს, ესენია: გიორგი მეგრელიშვილი, თორნიკე მახარაძე, ნათია ვასაძე, თამარ ასათიანი, ზურა ანდლულაძე, ლუკა ლლონტი.

წარმატებული მოჭადრაკეებს პრიზები გადასცა გურიის მოქმედა ჩემპიონმა დავით ცეცხლაძემ და ვაჟთა შორის გურიის ორგზის ვიცე-ჩემპიონმა ლანა ლომაძემ.

გამარჯვებული გუნდების დაჯილდოებაში მონაწილეობა მიიღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ და გურიის გუბერნატორის მოადგილემ, ვაია ებრაელიძემ.

გურიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი-ლანა ლომაძისგან ჩემპიონატის მონაწილეებმა სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზების უფასო აბონემენტები მიიღეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სასკოლო გუნდური საქაღრაკო ჩემპიონატი ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების“ (ვ.შაფაქიძე) და გურიის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით (ზ.ანდლულაძე) ჩატარდა.



„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ლიხაურში



ალიონი. გასულ კვირაში სამშაბათი, 5 ივნისი ოზურგეთში ყველაზე გამორჩეული და დასამახსოვრებელი დღე იყო თუნდაც იმიტომ, რომ ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის – პროგრესის სახლის ინიციატივით, პროექტ „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის“ ფარგლებში, გასვლითი ღონისძიება გაიმართა სოფელ ლიხაურში.

ღონისძიებაში, რომელიც ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში გამოეწვიოდა და მოხალისეობრივი იდეების წარმოდგენით დაიწყო, მონაწილეობდნენ პროექტ „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის“ კონსორციუმის, ადგილობრივი ხელისუფლების და ოზურგეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

პროექტის მონაწილეებმა ვიზუალურად და ტექსტობრივად გაგვაცნეს შემდეგი იდეები:

- გიორგი თოიძე (სოფელ ლიხაურის მაჟორიტარი დეპუტატი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში) – ნეკერჩხლების დარგვა ლიხაურში;
- „ვეროკლები“ – კინოჩვენება ახალგაზრდებისათვის;

- ჯეკ-პოლი – საზაფხულო სკოლა ოზურგეთში, ივნისში;
- ელენე იმედაშვილი – საზაფხულო სკოლა ლიხაურში, აგვისტოში;
- ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების ახალგაზრდული განყოფილება – 25 ივნისის ფრიაბული „სამკეთხას“ სკვერში;
- სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია – ენერგოეფექტური გარემო შენს თემში;
- სურსათის უვნებლობის სააგენტო – ფაროსანასთან ბრძოლის წესები;
- ლადო აფხაზავა – ერთად მოვხატოთ საქართველო;
- კოლეჯი „პორიზონტი“ – მოხალისე გიდეები ლიხაურისთვის – 5 ივნისი;
- „ფენიქსი 2009“ – უფასო ტესტირება C ჰეპატიტზე.
- ღონისძიების მონაწილეებმა დაათვალიერეს ლიხაურის ტურისტული ობიექტები – აჭის ეკლესია და თამარის ციხე.
- ღონისძიება დამთავრდა ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში გამართული გასართობი აქტივობებით.

სიზმარში მაინც გვადროვით ბედნიერება

მივმართავ ყველა პენსიონერსა და მათთან გათანაბრებული ასაკის ქალბატონებსა და მამაკაცებს: ნუ დაგეზარებათ და ამ წერილში გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნასა და წინადადებას ყურადღება მიაქციეთ, წერილობით მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებანი.

ჩვენ ძველი გვარდის ხალხი ვართ და შეჩვეული ვიყავით შიშითა თუ ხათრით წესრიგს, მაგრამ დემოკრატიის არასწორმა გაგებამ ორივე ერთად გაიყოლა.

ფაქტი პირველი. მოხუცი და პატარა ასაკის ბავშვი თითქმის ერთსა და იმავე დროს - 9-10 საათზე იძინებენ.

ახალჩაბინებული მოხუცი ნახულობს სიზმარს თავის წარსულზე, ზოგი ქორწინდება, ზოგი სანოვაგით სახე მავდასთან ზის. როდესაც ამ მოგონებებით უნდა დატკბეს, ამ დროს ატყდება გაუთავებლად მაშხალეების სროლა ქალაქის ოთხივე მხრიდან. გამოღვიძებისთანავე იწყებს ლანძღვა-გინებას, მაგრამ რა?! რჩება მთელი დღის განმავლობაში ნახევრად მშვიერი მოხუცი ძილგატეხილი და იმეორებს ერთსა და იმავეს - ხომ მიიღო პარლამენტმა კანონი, რომ 35 დეცობალს ზევით

ღამის პერიოდში ხმაური არ შეიძლება და ისჯებაო. პასუხი არსაიდან ჩანს.

ფაქტი მეორე. უნდა შევნიშნოთ, რომ ქალაქის ცენტრში ჩიტებიც ბუდეებს არ იკეთებენ. ცოტაც და მივიღებთ ბევრად მკვდარ ქალაქს.

მივესალმებით ახალგაზრდების ბედნიერებას და იმედი გვქვია იმისა, რომ 2050 წლისათვის ქართველობა ჩვენს ქვეყანაში უმცირესობაში არ მოყვება, მაგრამ ზღვარგადასული არაფერი ვარგა. დავაყრუა ჩინურმა მასშალეებმა.

ფაქტი მესამე. დედამიწა დღეისათვის უახლოვდება დათბობის კრიტიკულ ზღვარს, - 3,6 ფარინჰეიტს, რაც ცელსიუსით-2 გრადუსია.

ჯერ კიდევ 1897 წელს, მარკ ტვენმა მახვილგონივრულად აღნიშნა: „ყველა საუბრობს ამინდზე, მაგრამ რეალურად არავინ არაფერს აკეთებს ამინდისათვის“. მარკ ტვენის გარდაცვალებიდან (1910) ძალიან მალე ტემპერატურამ მატება დაიწყო. მეოცე საუკუნეში დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა მეცხრამეტე საუკუნისთან შედარებით 0,72 გრადუსით გაიზარდა. დღეისათვის კი 1,5 გრა-

დუსს შეადგენს.

საშიშროება ახლოს არის, ადამიანებო, თუ თავი არ გავიფრთხილებთ. ზედმეტად ასანთის ანთების უფლებაც არ გვაქვს. დათბობის ემისია უნდა შევაჩეროთ. ამჟამად კაცობრიობა ყოველწლიურად დაახლოებით 30 გიგატონა ნახშირორჟანგის დიოქსიდს გამოყოფს (ერთი გიგატონა ერთი მილიარდი ტონის ექვივალენტია).

მსოფლიოს ბრძოლის შედეგად 30 გიგატონა დიოქსიდის დონე 15 გიგატონამდე უნდა დაიყვანოს, თუ გვინდა სუნთქვა და სიცოცხლე.

მეორე წლის წინ თხოვნით მივმართე პენსიონერებს, რომ ერთი ან ორი ძირი ნერგი დაერგოთ და შეილიშვილებით მოველოთ მათთვის, რადგანაც ერთი ჰექტარი ტყე გამოყოფს 15 ტონამდე ჟანგბადს და შთანთქავს 17 ტონა ნახშირორჟანგს.

როცა ზოგიერთი ვაიჟურნალიტი ვითომ წუწუნებს ქალ-კაცს კესო სამუშაოს ვერ შოულობსო და თანაუგრძნობს მას, რა უნდა ვთქვათ მასზე?..

როცა ქუთაისში ტაძარს ანგრევდნენ (კომუნისტების დროს) გუმბათიდან ერთმა დაიძახა, ზარი

უკვე ჩამოვაგდე და აწი რაღა უნდა დამაკლოსო (საუბედუროდ ის ახალგაზრდა ავტოავარიაში დაიღუპა).

საზოგადოებაში აქა-იქ გამოჩნდნენ უკუღმართები. დასვილები უკვე არიან. როცა ადამიანი ბრძენი უნდა იყოს და სულელია, მორწმუნე უნდა იყოს და ურწმუნოა, კაცი უნდა იყოს და მამათმავალია, ამაზე მეტი სასჯელი რა გინდათ?!

ხელოვნურად არ შეიძლება დღეს პრობლემის შექმნა. ძლივს ვვღებთ ფეხზე და ნუ ოცნებობთ სახელმწიფოს ჩამოშლაზე. ეს არ მოხდება. გამწარებული ერი ამას არ დაუშვებს, სწორედ ამაზე წერდა საქართველოს პატრიარქი ილია II: „შეუძლებელია შენი სახელმწიფოს მტრების მიმართ იყო გულგრილი და არ დაიცვა ქვეყანა, მისი წარსული და მომავალი, როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურადაც. ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები არასდროს არ იყო.“

სახელმწიფოს დღეისათვის პოლიტიკური პრობლემები ძალიან ბევრი აქვს: ვითარება სირიაში, ავღანეთში, ერაყში; რუსეთ-საქართველოს კონფლიქტები (აფხაზეთი, სამჩაბლო); ყარაბაღისა და

დნესტრისპირეთის პრობლემა; ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვითარება; ყირიმელი თათრების პრობლემა; ქურთების პრობლემა თურქეთსა და ერაყში; ატომურ იარაღთან დაკავშირებული ირანის პრობლემა; შავი ზღვის შეღვის გაყოფის პრობლემა – საქართველო რუსეთი, უკრაინა, რუმინეთი; აშშს მიერ რაკეტ-საწინააღმდეგო სისტემის განლაგება აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში და ამასთან დაკავშირებით რუსეთის შესაძლო კონტრაქტქმედება; დაძაბული ენერგოპრობლემები და ა. შ.

ქართველებო, გვეყოფა შეცდომების დაშვება, დრო აღარ ითმენს. მეტი შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს, თორემ უფალი ამდენს არ გვაპატიებს. გვიყვარდეს ერთმანეთი, პატივი ვცეთ ერთმანეთს, მივუტევოთ შეცდომები ერთმანეთს თუ გვინდა ჩვენ და ჩვენმა მომავალმა თაობამ ეკონომიკურად ძლიერ და რწმენით გაძლიერებულ საქართველოში ვიცხოვროთ.

გურამ ცხრცვაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

სკანვორდი

				მცირე მომის ნაჭი	სილიგატის კლასის მინერალი	მწერალი სომერსეტ	საიდუმლო, გულისნაღები	ცმცხლის ასანთები	სააგენტო			
		მეცხველები ს ორგანო	წუწუნი								კაშმირი	
											წინაღობის ერთეული	
		რუსი ფერმწერი							ჯიუტი			
									მოგება			
		ნოტი								სიგრძის სამომი	სოფელი ალიგენში	
						მ. დავითაშვილის ოპერა				სოფელი ობურგეთის მუნიციპალიტეტი		
მესამე ნოტი			მშის საათის გამომგონებელი	ჩაის ნაჭი ტოტი				კარგი ამინდი				
ქალებმა რომ მამაკაცებს წაართვეს	უნა				ა. გოლიკოვის ფსევდონიმი						სკუადრა აბურას ყოფილი მწერტნელი	
			ცმცხლის ენა		გაქრის-გიახეხული არაბი	მწერალი ... შეხველაია		პაგარა გბა გურიამი				
	გბა საქართველოში									წუწუი	განთიადი	მუნიციპალიტეტი ქართლში
	სესხი		ლაპარაკი რომ უჭირს	ირლანდიელი მწერალი						სუბტროპიკული მცენარე		
			თბილისური ქარგონი					მდინარე რუსეთში				


№ 22-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - ლადო გუდიაშვილი; მანდარინის ჯიში - კლემენტინი; საიდუმლო. გულისნაღები - ზვაშიადი; ქოფაკი - ავი; საბანაო ტურტელი - აბაზანა; დაპროგრამების ენა - პასკალი; ჭადრაკის დედოფალი - ნონა; ცნობილი ილუზიონისტი - კიო; თურქული მარგარინი - ონა; ცივი იარაღი - დანა; თურქული საფეხბურთო კლუბი - ბურსასპორი; ალანი - ოსი; ერთ-ერთი საკვები ბალახი - გლერბი; ძალიან დიდი - დიადი; საჭმლის სოკო - გულაფშუკა; ნადლის მოფერებითი სახელი - რაფა; ესპანელი ფერმწერი - გოია; ალუმინის და სპილენძის შენადნობი - დურალუმინი; იტალიური კაპოშონიანი ლაბადა - დომინა; ქალის სახელი - იანა; ქართული გვარი - ლაშხია; 100 გრამი - უნცია; ქართული ფული - ლარი; წვეულება - ხადლი; სწორი ხაზი - წირი; ერთგვარი ტკბილეული - ვაფლი; ბამბის ქსოვილი - ბატისტა; ... კრამლინგი - პია; სანაგვე ყუთი - ურნა; ბევრს რომ უნდა გააძრო - სიქა; ჭადრაკის ფიგურა - ეტლი; უდელამო - ობოლი; რიცხვი - ორი; კუბის დელაქლაქი - ჰავანა.

**ქალაქი ოზურგეთი
სატახტო პარლანისკმ გურიელებისა**

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“
№1-8,11,15-22

რუბრიკას უძღვება მანანა მამარინიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი



შეკვეთილი

- 100 მარჩილის ოდენობით გარდასახული ჯარიმა, რომელიც ურჩ მოვარეს და სამთავრო ხელისუფლების მიერ გამოცემულ „ნიხრის“ დამრღვევს უნდა ეხლო საკუთარი ქონებიდან, ძალზე მნიშვნელოვანი თანხას წარმოადგენდა, რაგან აღებული ხანის ფულადი განსაზღვრებით ერთი ძროხის ფასი 12 მარჩილად იყო შეფასებული, ასე რომ 100 მარჩილით თითქმის 10 ძროხის ყიდვა შეიძლებოდა.
- „საქონლის ბაზრის განსაზღვრებისათვის აღნიშნული ნიხრის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს ნიხრები მეტად საინტერესონი არიან როგორც ბაზარზე გამოქვლილი საქონლის საერთო ხასიათის, ისე ფასებისა და ფულის ნიშნების სხვადასხვაგვარობის თვალსაზრისით. ბაზარზე გამოდიოდა როგორც ადგილობრივი მეურნეობის პროდუქცია: ღობი; ღვინო; ქერი; პური; ლობიო; თაფლი; ხანთელი; ყველი; კარაქი; შინაური ფრინველი; თხვიფეხა საქონელი; კერამიკული ნაწარმი; შინამრეწველური ხელოსნური ნაწარმი: წალი; ცული; თოხი; ბაწარი; ხის ჭურჭელი, ისე შემოხდილი საქონელი: ქსოვილები; მატყლი; ტყავი; რკინა; თევზი; შაქარი; ზეილალა.
- მოტანილი ფასებიდან საინტერესოა როგორც ფულის ნიშნების დასახელება, ისე ამა თუ იმ საქონლის ფასი.
- 1. საწყავი 5 დოქი კარგი ღვინო - 1 რუბი;
- 2. ბათმანი პური - 1 რუბი;
- 3. ქერი - 15 ფარა;
- 4. ბათმანი ღობი და ცერცვი - 15 ფარა;
- 5. დიდი ნასუქი ხარი - 20 მარჩილი;
- 6. უფრო პატარა - 15 მარჩილი;
- 7. ნახედი ხარი - 12 მარჩილი;
- 8. კიდევ უფრო პატარა - 11 მარჩილი;
- 9. სამი წლის ხარი - 10 მარჩილი;
- 10. უფრო ნაკლებისა - 6-8 მარჩილი;
- 11. ერთი წლისა - 4 მარჩილი;
- 12. დიდი ნასუქი ხობიანი ძროხა - 10 მარჩილი;
- 13. უფრო პატარა 6-9 მარჩილი;
- 14. ერთი წლის ნასუქი ხობი - 4 მარჩილი;
- 15. უფრო პატარა - 10 რუბი;
- 16. ორი წლის ნასუქი ცხვარი - 1 ფლური;
- 17. ერთი წლის ნასუქი ცხვარი - 2 ფლური;
- 18. ბატკანი 3-4 თვისა - 1 მარჩილი;
- 19. ბატკანი უფრო პატარა - 1 ფლური;
- 20. დიდი ნასუქი ვაცი - 1 ფლური;
- 21. დიდი ნასუქი ნეზვი თხა - 2 ფლური;

- 22. უფრო პატარა - 1 მარჩილი და 1 ფლური;
- 23. დიდი ნასუქი ტახი - 10 რუბი;
- 24. დიდი ნასუქი ნეზვი ღორი - 1 ფლური;
- 25. გოჭი 2-3 თვისა - 1 რუბი.
- 26. უფრო პატარა - 10 ფარა;
- 27. დაკოდილი გოჭი - 8 ფარა;
- 28. (ერთი) წიწილა - 4 ფარა;
- 29. უფრო პატარა - 1 ფარა;
- 30. ორი თავი დამარილებული ყველი - 1 ფარა;
- 31. კარგი საქალამნე ტყავი - 1 ფლური;
- 32. უარესი (საქალამნე ტყავი) - 2 ფლური;
- 33. კარგი ქალამნი - 10 ფარა;
- 34. ოყა სოფლური ერობი - 1 ფლური;
- 35. (ვაჭრის მიერ მოტანილი ერობი) - 1 მარჩილი.
- 36. წვევლი რჩეული ღობი - 1 ფლური;
- 37. უარესი (ღობი) - 2 რუბი;
- 38. კუდა ზურგიელი - 1 რუბი;
- 39. დიდი კარგი ორაგული - 3 მარჩილი;
- 40. უარესი (ორაგული) - 1 ფლური;
- 41. კიდევ უარესი (ორაგული) - 1 მარჩილი;
- 42. რჩეული ფარგა - 10 ფარა;
- 43. უარესი (ფარგა) - 5 ფარა;
- 44. ჩარეკი ფინხაური - 1 რუბი;
- 45. ჩარეკი კალმასი - 1 აბახი;
- 46. ექვსოქიანი საწყავი - 4 ფარა;
- 47. ფინხაური - 2 ფარა;
- 48. დოქი (ფინხაური) - 1 ფარა;
- 49. 30 კოკიანი ჭური - 4 ფლური;
- 50. 15 კოკიანი ჭური - 2 ფლური;
- 51. სურა პატარა - 5 რუბი;
- 52. დიდი გობი - 3 ფარა;
- 53. პატარა (გობი) - 2 ფარა;
- 54. თოხი თიხის ლამბაქი - 2 ფარა;
- 55. 2 აფხაზური ბაწარი - 2 ფარა;
- 56. გურული ბაწარი (ამღენივე) - 1 ფარა;
- 57. ოყა ძროხის, ხბოს, თხის და ღორის ხორცი - 1 შაური;
- 58. ჩარეკი ზიზილალა - 1 რუბი;
- 59. წვევლი კარგი ქონის სანთელი - 1 ფარა;
- 60. რჩეული ჩექმა - 2 ფლური;
- 61. უარესი - 1 მარჩილი;
- 62. იმერული კარგი ჩექმა - 1 ფლური;
- 63. ბათმანი ხახვი - 6 ფარა;
- 64. კარგი დიდი ცული - 5 რუბი;
- 65. კარგი სახნისი - 5 რუბი;
- 66. კარგი ბარი - 1 ფლური;
- 67. წალი - 6 რუბი;
- 68. კარგი ტილო - 1 მარჩილი;
- 69. ბადე მოსადები, თითო ფხარი - 1 რუბი და 1 ფარა;
- 70. სასროლი (ბადე) - 1

ფლური;

71. კარგი ბადე მტრედის საჭერი - 1 მარჩილი;

72. პეტაკე - გრძელი ბადე - 6 ფარა;

73. ხელბადე - 1 შაური;

74. ბათმანი ნიგოზი - 6 ფარა;

75. ერთი დოქი არაყი - 6 ფარა;

76. ერთი გვერდი დაცხვილი ღობი - 1 რუბი.

ნიხრის გვერდზე მიწერილი იყო მეტად ყურადსაღები განსაზღვრება საქონლის მყიდველისა და გამყიდველის უფლება-მოვალეობათა შესახებ კერძოდ:

„თუ ვაჭარი სოფლის მცხოვრებს მოჰყიდის ოყა მატყლს ერთ ფლურიან, და ოყა მარიდს სამ ფარად, მაშინ სოფელიც ვალდებულია მიყიდოს მას ოყა ცვილი სამოც ფარად და ბათმანი თაფლი ოც ფარად. ამის დარღვევის შემთხვევაში ორთავეს უნდა გარდახდეს ჯარიმა.

...თუ ვაჭარი აღნიშნული ფასით არ მოჰყიდოს სოფლის მცხოვრებელ მატყლსა და მარიდს, მაშინ ეს უკანასკნელიც ნუ მიჰყიდის მას იაფად. და როგორც ზევითაა განსაზღვრული, ისე მიჰყიდოს მას ცვილი და თაფლი.

წინამდებარე მასალა, მისი ციფრ-ობრივი მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს გარკვეულწილად განვსაზღვროთ ნიხრში წარმოდგენილი ფულის ნიშნების მეტწილად ოდენობას დადგენა.

„გურიის ბაზარზე ბრუნვაში მყოფი ოსმალი ვერცხლის ფული 1808 წლისათვის შემდგენარად შეიძლება განისაზღვროს: ფრა-უქინესი ერთეული=1 კაპიკს. რაც იმთავითვე წარმოადგენს შემდეგ მონაცემებს:

ოზურგეთის ბაზარზე გლეხის მიერ გასაყიდად გამოტანილი საწყავი 5 დოქი კარგი ღვინო შეესაბამებოდა 220 ბოთლს და ღირდა 1 რუბი, 1 რუბი უდრიდა 13 ფარას, ანუ 13 კაპიკს. ბოთლის 13 კაპიკში ახარისხება, წარმოდგენილი სიაფაც გვეჩვენება, ეს მაშინ განსაკუთრებით, როცა ცოტა მოგვიანებით მარხის უფროსის სახელფასო განიკვეთი შეადგენდა 600 მანეთს. ამ თანხით, აღებული ეპოქის ფასების მიხედვით, ოზურგეთის მარხის უფროსს შეეძლო ღამის მთელი გურიის შესყიდვა, თუმცა მხარე იმხანადაც ხომ „შესყიდვის“ გარეშეც რუსის იყო.

ასეთივე იყო ბათმანი პურის ფასიც 1 ბათმანი ერთ ფუტს შეადგენდა, ტოლობის ნიშანი აქაც 13 ფარა ანუ 13 კაპიკია;

ბათმანი ღობი, (ფუთი) და ცერცვი - 15 ფარა - 15 კაპიკია;

ქილა ქერი - (ორი ფუთი) - 15 ფარა, 15 კაპიკი;

ნასუქი ცხვარი ღირდა 1 რუბი, 1 რუბი უდრიდა 100 ფარას - 100 კაპიკს;

ერთ რუბად - 10 ფარად, 100 კაპიკად იყო შეფასებული ორი წლის ნასუქი ცხვარიც, დიდი ნასუქი ვაციც, დიდი ნასუქი ნეზვი ღორიც.

ოზურგეთის ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი თურქული ფულადი ერთეული - ფლური უდრიდა 40 ფარას, 40 კაპიკს, 40 კაპიკად ფასობდა მაშინ;

ერთი ბატკანი, წვევლი რჩეული ღობი, იმერული კარგი ჩექმა, კარგი ტილო, სასროლი ბადე.

(გაგრძელება იქნება)

სულთანა

ილო რუსიის გახსენება



ერთი წელი გავიდა ღირსეული ოზურგეთელის, ილო რუსიის გარდაცვალებიდან.

ძნელაა ახალგაზრდა კაცზე წარსულში საუბარი, მით უმეტეს, იგი არა მარტო ოჯახის, არამედ საქართველოს საამაყო კაცი იყო. თავისი მოკრძალებული, ეკლესიური, სიყვარულით სავსე ცხოვრებით, სამაგალითო რომ იყო სხვებისთვის.

ილოს ბუნებას მისი ოჯახის ტრადიციებიც განაპირობებდა. მშრომელი, პატიოსანი, პურადი იყო და არის რუსიელების ოჯახი ოზურგეთში. შორს არ წაყვალთ და ვიტყვი, - ილოს მამა გენო რუსიძეს მთელი ოზურგეთი იცნობდა, ოზურგეთის კულტურის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლის წევრს. არაერთი ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული საქართველოში, ესტონეთში, უკრაინაში, ლიტვაში, მოლდავეთში, რუსეთში... შემდეგ ვლადიმერ ერქომაიშვილმა ცნობილი „ელესა“ რომ შექმნა, როგორც საუკეთესო ბანი, იქ მიიწვია... სამწუხაროდ ბატონმა გენომ ნაადრევად დატოვა წუთისოფელი.

ილო მთორესკოლეელი იყო, შემდეგ სოფლის მეურნეობის კუთხით მიიღო სათანადო განათლება, მუშაობდა ოზურგეთის მანქანათმშენებელ ქარხანაში, შემდეგ იყო ერთ-ერთი კერძო ფირმის დამფუძნებელი.

ბოლო 25 წლის მანძილზე მხოლოდ ფერმერულ მეურნეობას ეწეოდა და წარმატებულადაც აღწევდა მევენახეობასა და მეფუტკრეობაში. დაახლოებით 20 წლის წინ მან გურული ვაზის ჯიშების აღდგენა-მოშენებას მიჰყო ხელი და

შესანიშნავი მეურნეობა შექმნა. უძველესი გურული ვაზის „ჩხაკერის“ საუკეთესო ზვარი ჰქონდა გაშენებული. სოფლის მეურნეობის კუთხით არაერთი ღონისძიების მონაწილე იყო იგი.

ცნობილი მეცნიერი და მწერალი არნოლდ გვეგეჭკორი ზშირად სტუმრობდა რუსიეების ოჯახს. ამ ოჯახის ტრადიციები და ექსპლუატაციის გორიდან გაშლილი აჭარა-გურიის მთების ხედი, მდინარე ბუჟიუსა და აწისწყლის სანახები ხიბლავდა მსოფლიო ყველა კონტინენტის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს.

2011 წელს ერთად მოვიარეთ გურიის რეგიონი. განსაკუთრებით გომისმთის სანახები დაამახსოვრდა. ილო რუსიძეს ყველანაირი თადარიგი ჰქონდა დაჭერილი, რომ მწერალს სამომავლო სათანადოდ წარმოეჩინა მშობლიური მხარე...

ოჯახი-საუკეთესო. ერთგული მეუღლე ნინო ღუმბაძე, კარგი შვილები გოგა და ქეთი...

ოთხი დედამიწვილი იყო. ჯერ ლია წავიდა, შარშან ზაფხულში ილო. ახლა, როგორც წლების უკან, ვეღარ დამტყაბდა მძიმე სენი... ტკივილი დაუტოვა დედამიწვილებს დოღოს და კასას...

4 ივნისს, გარდაცვალების დღეს მის საფლავთან შეიკრიბნენ სასულიერო პირები, ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები არა მარტო ოზურგეთიდან, თბილისიდან. მამაოებმა პარაკლისი გადაიხადეს, ხოლო შემდეგ ტრადიციულ სუფრასთან შესანდობარი წართქვეს.

მარადიული ხსოვნა.
ნუმზარ ასათიანი.

იყიდე
იყიდე 9 400 კვ. მ მიწის ნაკვეთი
ქობულეთის ტრასაზე, ანასულის
ბაღსასკვევიდან 400 მეტრის
დაშორებით.
იყიდე 30 კუბური მეტრი
დახერხილი კედლის მასალა.
ტელ. 599 58 75 32;
599 61 11 60.

ენვერონომენტალური

მომდევნო ფასებიდან არსანიშნავია მიმოქცევაში არსებული შაური, რომელიც შესატყვისი იყო 4 ფარის, თხი კაპიკისა, შაურად ფასობდა ოზურგეთის ბაზარზე; ოყა (სამი კილოგრამი) ძროხის, ხბოს, თხისა და ღორის ხორცი.



მსოფლიოს XXI ჩემპიონატი ფეხბურთში

A ჯგუფი

#	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	±	ქ
1	რუსეთი	0	0	0	0	0	0
2	ურუგვაი	0	0	0	0	0	0
3	ეგვიპტი	0	0	0	0	0	0
4	საუდის არაბეთი	0	0	0	0	0	0

B ჯგუფი

#	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	±	ქ
1	პორტუგალია	0	0	0	0	0	0
2	ესპანეთი	0	0	0	0	0	0
3	მაროკო	0	0	0	0	0	0
4	ირანი	0	0	0	0	0	0

C ჯგუფი

#	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	±	ქ
1	საფრანგეთი	0	0	0	0	0	0
2	დანია	0	0	0	0	0	0
3	ავსტრალია	0	0	0	0	0	0
4	პერუ	0	0	0	0	0	0

D ჯგუფი

#	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	±	ქ
1	ხორვატია	0	0	0	0	0	0
2	ისლანდია	0	0	0	0	0	0
3	არგენტინა	0	0	0	0	0	0
4	კოლუმბია	0	0	0	0	0	0

E ჯგუფი

#	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	±	ქ
1	შვეიცარია	0	0	0	0	0	0
2	ბრაზილია	0	0	0	0	0	0
3	მექსიკა	0	0	0	0	0	0
4	კოსტა რიკა	0	0	0	0	0	0

F ჯგუფი

#	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	±	ქ
1	შვედეთი	0	0	0	0	0	0
2	გერმანია	0	0	0	0	0	0
3	პოლანია	0	0	0	0	0	0
4	უკრაინა	0	0	0	0	0	0

G ჯგუფი

#	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	±	ქ
1	ბელგია	0	0	0	0	0	0
2	ინგლისი	0	0	0	0	0	0
3	რუსეთი	0	0	0	0	0	0
4	უელსი	0	0	0	0	0	0

H ჯგუფი

#	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	±	ქ
1	პოლანია	0	0	0	0	0	0
2	კოლუმბია	0	0	0	0	0	0
3	ჩეხეთი	0	0	0	0	0	0
4	კორეა	0	0	0	0	0	0

A ჯგუფი

- 14 ივნისი. 19:00. რუსეთი-საუდის არაბეთი
- 15 ივნისი. 16:00. ეგვიპტი-ურუგვაი
- 19 ივნისი. 22:00. რუსეთი-ეგვიპტი
- 20 ივნისი. 19:00. ურუგვაი-საუდის არაბეთი
- 25 ივნისი. 18:00. ურუგვაი-რუსეთი
- 25 ივნისი. 18:00. საუდის არაბეთი-ეგვიპტი

E ჯგუფი

- 17 ივნისი. 16:00. კოსტა რიკა-სერბეთი
- 17 ივნისი. 22:00. ბრაზილია-შვეიცარია
- 22 ივნისი. 16:00. ბრაზილია-კოსტა რიკა
- 22 ივნისი. 22:00. სერბეთი-შვეიცარია
- 27 ივნისი. 22:00. სერბეთი-ბრაზილია
- 27 ივნისი. 22:00. შვეიცარია-კოსტა რიკა

მერვედფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან შემდეგ ჯგუფებში პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები:

- 30 ივნისი. 18:00. C1 – D2
- 30 ივნისი. 22:00. A1 – B2
- 1 ივლისი. 18:00. B1 – A2
- 1 ივლისი. 22:00. D1 – C2
- 2 ივლისი. 18:00. E1 – F2
- 2 ივლისი. 22:00. G1 – H2
- 3 ივლისი. 18:00. F1 – E2
- 3 ივლისი. 22:00. H1 – G2

B ჯგუფი

- 15 ივნისი. 19:00. მაროკო-ირანი
- 15 ივნისი. 22:00. პორტუგალია-ესპანეთი
- 20 ივნისი. 16:00. პორტუგალია-მაროკო
- 20 ივნისი. 22:00. ირანი-ესპანეთი
- 25 ივნისი. 22:00. ირანი-პორტუგალია
- 25 ივნისი. 22:00. ესპანეთი-მაროკო

F ჯგუფი

- 17 ივნისი. 19:00. გერმანია-მექსიკა
- 18 ივნისი. 16:00. შვედეთი-კორეა
- 23 ივნისი. 19:00. გერმანია-შვედეთი
- 23 ივნისი. 22:00. კორეა-მექსიკა
- 27 ივნისი. 18:00. კორეა-გერმანია
- 27 ივნისი. 18:00. მექსიკა-შვედეთი

მეოთხედფინალში გასული გუნდების დაპირისპირება:

- 6 ივლისი. 18:00. C1/D2 – A1/B2 (1)
- 6 ივლისი. 22:00. E1/F2 – G1/H2 (2)
- 7 ივლისი. 18:00. F1/E2 – H1/G2 (3)
- 7 ივლისი. 22:00. B1/A2 – D1/C2 (4)

C ჯგუფი

- 16 ივნისი. 14:00. საფრანგეთი-ავსტრალია
- 16 ივნისი. 20:00. პერუ-დანია
- 21 ივნისი. 16:00. საფრანგეთი-პერუ
- 21 ივნისი. 19:00. დანია-ავსტრალია
- 26 ივნისი. 18:00. დანია-საფრანგეთი
- 26 ივნისი. 18:00. ავსტრალია-პერუ

G ჯგუფი

- 18 ივნისი. 19:00. ბელგია-პანამა
- 18 ივნისი. 22:00. ტუნისი-ინგლისი
- 23 ივნისი. 16:00. ბელგია-ტუნისი
- 24 ივნისი. 16:00. ინგლისი-პანამა
- 28 ივნისი. 22:00. ინგლისი-ბელგია
- 28 ივნისი. 22:00. პანამა-ტუნისი

ნახევარფინალი

- 10 ივლისი. 22:00. 1 – 2
- 11 ივლისი. 22:00. 3 – 4

D ჯგუფი

- 16 ივნისი. 17:00. არგენტინა-ისლანდია
- 16 ივნისი. 23:00. ზორვატია-ნიგერია
- 21 ივნისი. 22:00. არგენტინა-ზორვატია
- 22 ივნისი. 19:00. ნიგერია-ისლანდია
- 26 ივნისი. 22:00. ნიგერია-არგენტინა
- 26 ივნისი. 22:00. ისლანდია-ზორვატია

H ჯგუფი

- 19 ივნისი. 16:00. პოლონეთი-სენეგალი
- 19 ივნისი. 19:00. კოლუმბია-იაპონია
- 24 ივნისი. 19:00. იაპონია-სენეგალი
- 24 ივნისი. 22:00. პოლონეთი-კოლუმბია
- 28 ივნისი. 18:00. იაპონია-პოლონეთი
- 28 ივნისი. 18:00. სენეგალი-კოლუმბია

მე-3 ადგილისთვის დაპირისპირება 14 ივლისს, 18:00 საათზე შედგება, ფინალი კი 15 ივლისს, 19:00 საათზე მოსკოვში გაიმართება.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე ღრუბელი +14+24 11 ივნისი ორშაბათი	მზე ღრუბელი +15+23 12 ივნისი სამშაბათი	მზე ღრუბელი +15+24 13 ივნისი ოთხშაბათი	მზე +16+25 14 ივნისი ხუთშაბათი	მზე +19+25 15 ივნისი- პარასკევი	მზიერ წვიმა +19+25 16 ივნისი შაბათი	მზე +19+26 17 ივნისი კვირა
--	---	---	---	--	---	-------------------------------------